ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ

2025 წელში ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შემდეგი სამუშაოები. კერძოდ:

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების 2024-2027 წლების და 2023–2027 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების პროგრამის განვითარების დოკუმენტების განხორციელების პროცესში.

ასევე სამსახურმა მიიღო მონაწილეობა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2026-2029 წლის გეგმის შემუშავებაში.

ამჟამად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების 10 წლიანი გეგმის შემუშავება.

ტურიზმის განვითრების კუთხით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

განხორციელდა GIZ -ის პროექტის Private Sector Development and Technical Vocational Education and Training South Caucasus ფარგლებში ორდღიანი ტრენინგი ტურისტული სერვისების დანერგვასა და ტუროპერეიტინგის თემაზე. ტრენინგის პირველ ნაწილში მონაწილეებმა გაიცნო ტურისტული დესტინაციის არსი და სისტემური მიდგომის გამოყენებით გამოავლენეს დანიშნულების ადგილის საზღვრები და შემადგენელი ელემენტები და მათი ურთიერთკავშირები, ასევე განსაზღვრავეს ჩართული მხარეების ძირითადი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დღის მეორე ნაწილი ტუროპერეიტინგს დაეთმო. კერძოდ, მონაწილეებმა გაიცნეს ტურისტული საქმიანობის დაწყების წინაპირობები, ტურისტული შეთავაზების შექმნის და გაყიდვის საკითხები.

ტურიზმის ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით არაერთი მოკლევადიანი სასწავლო კურსი ხორციელდება. ამ ეტაპზე განხორციელდა ტრენინგი „საოჯახო სასტუმროს მართვა“ გურიის რეგიონში განთავსების ობიექტების წარმომადგენელთათვის.

აღნიშნული სამსახურის მიერ ორგანიზება გაეწია „გემო ფესტზე“ მონაწილეთა მსურველთა შერჩვას.

აღნიშნულმა სამსახურმა გაუწია ორგანიზება და მივიღეთ მონაწილეობა ქ. თბილისში გამართულ ფესტივალზე „სტუმარმასპინძლობის დღე-გურია“, რომლის ორგანიზატორი გახლდათ გასტრონომიული და სოფლის ტურიზმის ასოციაცია, ხოლო ოფიციალური მხარდამჭერები ღვინის ეროვნული სააგენტო, თბილისის მერიის ეკოპოლიტიკის დეპარტამენტი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. აღნიშნულ ფესტივალზე

მონაწილეობა მიიღეს ჩოხატაურელმა მეღვინეებმა, თაფლის მწარმოებელმა და ანსამბლმა „ამაღლებამ“.

საინვესტიციო გარემოს განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები. კერძოდ:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა GIZ მიერ დაფინანსებული პროექტის **„დეგრადირებული მწვანე სივრცის აღდგენა და სარეკრეაციო ზონის მოწყობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში“** განხორციელება. პროექტის ფარგლებში (გორაბერეჟოულის დენდროლოგიურ პარკში) განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სანიტარული Pჭრის განხორციელება და მწვანე ნარგაობით დაფარული ფართობის აღდგენა (ჩაი, ფეიხოა ციტრუსი, ზეთისხილი და სხვა); არსებული შენობის აღჭურვა ტექნიკით და ინვენტარით, (მაგიდები, სკამები, კონდიციონერი, ლეპტოპი, საკონფერენციო აუდიო აღჭურვილობა) რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის; პარკის პერიმეტრის შეღობვა; სპეც მანქანის შეძენა სამეურნეო საქმიანობისთვის. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 121.060 ლარი.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი **„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“,** რომელიც ხორციელდება 2023 წლიდან. პროექტის ფარგლებში შვიდი საბავშვო ბაღში (ბუკისციხე, სამება, ამაღლება, ბუკნარი სურები ერკეთი, საჭამიასერი) განხორციელდა პროექტით განსაზღვრული ენერგო - ეფექტური ღონისძიებების გატარება.

პროექტის ბიუჯეტმა შეადგინა 772,117 ევრო.

თანამშრომლობა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)-თან - ჩოხატაური ერთ-ერთია იმ 12 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან, რომლებიც ახორციელებენ პროექტს „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება – პილოტური ინიციატივა მიგრანტთა დაბრუნება თემებში“. პროექტს მხარს უჭერენ IOM-ის განვითარების ფონდი (IDF) და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

პროექტის ფარგლებში ხდება დაბრუნებული მიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო პროგრამების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში – შესაბამის უწყებებში გადამისამართებით. 2025 წლის 1 იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით კონსულტაცია გაეწია და მიზნობრივად გადამისამართდა სხვადასხვა უწყებებში 18 მოქალაქე.

სამსახური ყოველთვიურად უზრუნველყოფს კონსულტაციებსა და მიზნობრივ მხარდაჭერას.

მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი და სახელმწიფო პროგრამებით დაინტერესებული პირთათვის ინფორმაციის გაცნობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა .

ვთანამშრომლობთ სსიპ საქართველოს **ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) -სთან -** სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო არის საქართველოს

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო სტრუქტურაა. ორგანიზაცია (GITA) აქტიურად უწყობს ხელს რეგიონებში ინოვაციური მეწარმეობის განვითარებასა და სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებას. ორგანიზაცია განახორციელებს პრე-აქსელერაციის პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური მეწარმეებისთვის ინტენსიურ კურსს, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობაში ინოვაციების კულტურის ჩამოყალიბებას და სტარტაპ გუნდების ფორმირებას. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში 10 ნოემბრს ჩატარდა იდეების გენერირების ერთ დღიანი პრაქტიკული კურსი, რომელსაც 20-მდე ადგილობრივი ფერმერი და მეწარმე დაესწრო. აღნიშნული ადგილობრივ მეწარმეებსა და ახალგაზრდებს დაეხმარება ბიზნეს იდეების გენერირებასა და მათი განვითარებისთვის საჭირო ცოდნის მიღებაში. ასევე 21 ნოემბერს სამხატვრო გალერეაში 14+ ასაკის მოზარდებისთვის ჩატარდა (GITA)-ს მიერ ორგანიზებული ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში თანამედროვე ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, STEAM მიმართულებებისა და ინოვაციური აზროვნების უნარების გაუმჯობესებას. (GITA)- თან თანამშრომლობას ექნება გრძელვადიანი სისტემატიური ხასიათი.

მაღალმთიანი დასახლების საბჭოს საქმიანობა - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არის 3 მაღალმთიანი სოფელი და ერთი დაბა-ბახმარო. შესაბამისად მერის ბრძანებით შექმნილია „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების/შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს საბჭო.

მაღლმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან ყოველთვიურად ხორციელდება მომართვა სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საბჭოს თითოეული მომართვის საფუძველზე ყოველთვიურად განიხილავს საკითხს და წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს შესაბამის რეკომენდაციას. ასევე წლის დასაწყისში დგება მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების კალენდარული წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით, ფაქტობრივად ცხოვრების მონიტორინგის წლის გეგმა, რომელცი თავისმხრივ განაწილებულია ყოველთვიურ დასამონიტორინგებელ გეგმებათ, რომელსაც ანხორციელებს მერის ბრძანებით გამოყოფილი შესაბამისი პირი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებთა სტატუსის მინიჭების საბჭოს 10 სხდომა, რის შედეგადაც 18 სტატუსის მაძიებელს მიეცა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო 3 უარყოფითი რეკომენდაცია. მონიტორინგის საფუძველზე სტატუსის შეჩერება არ გამოვლენილა.

ქონების მართვის მიმართულებით 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ:

მუნიციპალიტეტის ერთერთ ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ქონება. გამომდინარე აქედან, ქონების მართვის კუთხით სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ

მონიტორინგსა და ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს (პრივატიზება, სარგებლობის უფლებით გადაცემა (სასყიდლით; უსასყიდლოდ)).

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რაგისტრაცია. ასევე, ამავე კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციები განხორციელებისათვის საჭირო ქონების გადმოცემა/რეგისტრაცია.

2025 წელში ქონების მართვის მიმართულებით, მოქალაქეებსა და სხვადასხვა უწყებებთან დოკუმენტბრუნვამ შეადგინა - 809 ერთეული (მათ შორის კანცელარიიდან შემოსული წერილები; ელექტრონულად შემოსული წერილები; გასული წერილები; შიდა წერილები; ბრძანება; გასული პასუხი). მომზადებულია 4 ერთეული განკარგულების პროექტი და 1 ერთეული დადგენილების პროექტი). სამსახურის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების შექმნის მიზნით, სხვადასხვა საჭიროებებიდან (ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და სხვა) გამომდინარე განხორციელდა 41 ერთეული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ორგანიზება. ბალანსზე აღირიცხა - 1 307 788 ლარის ღირებულების ობიექტი; ასევე, სამსახური განიხილავს სახელმწიფო ქონების განკარგვასთან (სარგებლობის უფლებით გადაცემა, უძრავი ქონების ადგილმონაცვლობა; საკუთრების უფლების აღიარება) დაკავშირებულ საკითხებს.

მთლიანობაში მიმდინარეობდა მუშაობა 28 საპრივატიზებო და 5 ერთეული საიჯარო უძრავი ქონების მომზადების მიზნით.

ასევე, ხორციელდება იჯარით გაცემული ობიექტებიდან ქირის გადახდის მონიტორინგი.

იჯარით გაცემული ობიექტებიდან შემოსულმა საიჯარო ქირამ 2025 წელში შეადგინა 44678 ლარი.

„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განხორციელდა 2955 ერთეული კორესპოდენციის განხილვა, კერძო მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით.

განხორციელდა 9 ერთეული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა, რითაც ხელი შეწყო 8 ერთეული ამბულატორიის ფართის გადაცემას (გადაეცა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს - ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“) ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით და ასევე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ,,მეთამაშეს“ გადეცა 1 ობიექტი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის (მომსახურების სახეები: აბილიტაცია/რეაბილიტაცია, სენსორული თერაპიის, არტთერაპია, ფსიქოთერაპია).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება/აღრიცხვა; დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით (მიწის კატეგორია; საძოვრები და სხ/სხ).

ინფორმაცია ასახავს გარემოსდაცვის აღნიშნული სამსახურის მიერ 2025 წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებს, არსებული პრობლემებსა და სამომავლო რეკომენდაციებს. მუშაობა განხორციელდა უწყების განვითარების სტრატეგიასთან, გარემოსდაცვით მოთხოვნებთან და ეროვნული რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

- მრავალი ღონისძიებები ჩატარდა ნარჩენების მართვის რეგულირების გაუმჯობესება და ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებასა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მაჩვენებლის გაუმჯობესებასთნ დაკავშირებით;

  სამსახურის ინიციატივით და კოორდინაციით მიმდინარეობს **ნარჩენების მართვის მოსაკრებლის დანერგვა**სთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს როგორც ნარჩენების შემცირებას, ასევე მეწარმეებისა და მომხმარებლების პასუხისმგებლობის გაზრდას.

  მიმდინარეობს შემუშავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების მართვის წესის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც წარედგინება საკრებულოს მომავალი წლის დასაწყისში.